ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

14 იანვარი 2025 წელი

ქ. ხობი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. ლელა ადანაია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. ია ჯიშკარიანი
7. მაკა ჩარტია
8. გიორგი გვასალია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის

განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა და განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. გამომსვლელი შემოვიდა ინიციატივით წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და განაცხადა, რომ საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმა მომზადდა საკრებულოს წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2025 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა ინიციატივით, რომ წარმოდგენილი პროექტი ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, კომისიის მიერ არსებითად განსახილველი მესამე და მეოთხე საკითხი განხილულ იქნეს ერთად, კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა და მიეკუთვნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიას. შესაბამისად, სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციაში მოაქცია საჯარო დაწესებულებაში პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

აღნიშნულის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი